Einführung in die deutsche Philologie - 2020

Prof. Dr. Lali Kezba – Chundadse

შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში

პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე

1. თემა

რა არის გერმანული ფილოლოგია?

ამ საკითხზე პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა მე შევეცდები ძალიან მოკლედ მიმოვიხილო გერმანული ფილოლოგიის ძირითადი საგნები, მომიჯნავე დისციპლინები და მათთან კომბინაციების შესაძლებლობები, აგრეთვე ზოგადი წარმოდგენა შეგიქმნათ გერმანისტიკის ისტორიის, მისი მეთოდებისა და თეორიების განვითარების ძირითადი ეტაპები და მიმართულებები, ასევე გერმანისტიკის შესწავლის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე, რაც საბოლოოდ დაკავშირებულია პროფესიულ პერსპექტივებთან.

გერმანული ფილოლოგიის – Deutsche Philologie შესწავლის საგანია გერმანული ენა და ლიტერატურა მათ ისტორიულ განვითარებასა და გამოვლენის ფორმებში (საბაკალავრო დონეზე) და შესაბამისად გერმანული ენათმეცნიერება და გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა (სამაგისტრო დონეზე).

ტერმინის „გერმანისტიკა“ ქვეშ ისტორიულად იგულისხმებოდა არა მხოლოდ გერმანელი არამედ გერმანიკული ხალხების ენები, ლიტერატურა. მაგრამ დღეს გერმანიაში და მთელს გერმანულენოვან ევროპულ სივრცეში გერმანისტიკის მეცნიერული კვლევის უპირველეს ობიექტს ასევე ცალკე **გერმანული ენა და ლიტერატურა** წარმოადგენს თანამედროვე და ისტორიული კულტურული ფონის გათვალისწინებით.

გერმანული ენათმეცნიერება ან ლინგვისტიკა (ენათმეცნიერების საერთაშორისო აღნიშვნა) გერმანულ ენას იკვლევს სხვადასხვა დონეებზე: ფონემურ(ბგერით), გრაფემულ(წერილობით ფორმაში დაფიქსირებულ), ფლექსიურ (გრამატიკული მნიშვნელობის მქონე პრეფიქსიან და სუფიქსიან) აფიქსალურ ფორმებს, სიტყვებს(ლექსემებს), წინდადებებს, ტექსტებს, ენობრივ სოციოლოგიურ შრეებს (დიალექტებს, სასაუბრო ენებს, ენის წერილობითი ფორმას Schriftsprache), მათ არეალურ (ანუ ენობრივ-გეოგრაფიულ) დაყოფასა და ისტორიული გამოვლენის ფორმებში. ისტორიული ენათმეცნიერება ან ენის ისტორია იწყებს ამ ფორმების კვლევას ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე: ძველიზემოგერმანული - althochdeutsch / ahd. (8-11 საუკუნეები); საშუალიზემოგერმანული ანუ შუაზემოგერმანული - mittelhochdeutsch / mhd (11-14 საუკუნეები), ადრეულიახალიზემოგერმანული -frühneuhochdeutsch / fnhd(14-17საუკუნეები) და ახალიზემოგერმანული: neuhochdeutsch/nhd (მე-17 საუკუნიდან მოყოლებული თანამედროვე გერმანულ ენამდე).

გერმანული ლიტერატურთმცოდნეობა ლიტერატურას იკვლევს სისტემურად ჟანრების, ფორმების, მოტივებისა და მასალის (Stoff) მიხედვით, ასევე ავტორებისა და ეპოქების მიხედვით. განასხვავებენ ძველ გერმანულ ლიტერატურატმცოდნეობას, რომელიც მოიცავს ლიტერატურულ ძეგლებს უძველესი დროიდან ადრეულ შუა საუკუნეებამდე: **მედიევისტიკას /Mediävistik** და **ახალ გერმანულ ლიტერატურათმცოდნეობას,** რომელიც იკვლევს ლიტერატურულ ტექსტებს მე- 16/17 საუკუნეებიდან თანამედროვეობამდე.

გარდა **გერმანული ენათმეცნიერებისა** და **გერმანული ლიტერატურათმცოდნეობისა**, რომელიც ჩვენს პროგრამაში „გერმანული ფილოლოგია“ (ჯერ მხოლოდ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში) მოდულების სახით იმიჯნება ერთმანეთისგან, გამოყოფენ კიდევ გერმანული ენის **დიდაქტიკას,** რომელიც იკვლევს გერმანული ენისა და

ლიტერატურის სწავლების მეთოდებს, მაგრამ ის განათლების ფაკულტეტზე ისწავლება.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ დავიწყეთ ახალი მესამე მოდულის მომზადება – **„კულტურის ტრანსფერი: ლიტერატურა, მედიები და დარგობრივი კომუნიკაცია (გერმანულ ქართული, ქართულ გერმანული)“** ჩვენი მაგისტრატურისთვის ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის თარგმანისა და თარჯიმნობის ინსტიტუთან პარტნიორობის ფარგლებში გერმანისტიკის დარგში. ამ ეტაპზე ეს პროექტი სხვა კულტურსპეციფიკურ ასპექტების კვლევასთან ერთად წარმოადგენს თარგმანის თეორიასა და პრაქტიკას ამოსავალი-გემანული ენიდან (Lingua 1) სამიზნე - ქართულ ენაზე (Lingua 2). ამჟამად მიმდინარეობს ჩვენი სტუდენტების და პროფესურის ჰაიდელბერგელი კოლეგების მიერ მომზადება, რათა ჩვენი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდეს ახალი, პრაქტიკაზე და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტებული მოდული.

სიტყვას “**Deutsch**” ჩვენ გერმანულის ყოველგვარი ენობრივი და ლიტერატურულ გამოვლენად მივიჩნევთ. გერმანული ენა/ Deutsch არის **ენობრივ-კულტურული მთლიანობის გამოხატულება**:

“ენა არის **კულტურის არა მხოლოდ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი**, არამედ **კულტურის გამოვლინების, კულტურის ფორმების გაგების საშუალება**”- (ეს არის ევროპის განათლების მინისტრების 1999 წლის 19.ივნისის გაერთიანებული განცხადება ბოლონიაში).

გერმანული ფილოლოგიის ან გერმანისტიკის კვლევის ობიექტად მიიჩნევენ იმ ქვეყნების კულტურას, რომლებშიც გერმანულ ენაზე საუბრობენ, რომლებსაც **გერმანული შრიფტი, გერმანული დამწერლობა** გააჩნიათ – ესენია უპირველეს ყოვლისა **გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, ლიხტენშტაინი** და **ნაწილობრივ** აღმოსავლეთ ევროპული რეგიონები გერმანულენოვანი უმცირესობებით: **რუმინეთი,**

პოლონეთი, რუსეთი, (მე-19, მე- 20 საუკუნის 40-იან წლებამდე კი საქართველოც, სადაც შვაბების კოლონიებმა დიდი როლი შეასრულეს).

თანამედროვე გერმანული ფილოლოგიის კვლევის ობიექტს არა მხოლოდ გერმანულენოვანი მწერლების ტექსტები წარმოადგენს, არამედ ის გერმანულენოვანი ტექსტებიც, რომლებიც გერმანიაში მყოფი ემიგრანტების ან უცხოელების მიერ იქმნება.

გერმანული ფილოლოგიის კვლევის საგანია მთლიანად გერმანული ლიტერატურა, წარმოდგენილი ლიტერატურული ტექსტებით და ამავე დროს ზოგადად **გერმანული ენა** - დაწყებული **კომუნიკაციის საყოველდღეო ფორმებიდან და მედიების (პრესისა და ტელევიზიის) და რეკლამის ენით დამთავრებული.**

ე.ი. გერმანული ფილოლოგიის კვლევის საგანია ყველაფერი, რაც სიტყვის ფართე გაგებით <u>ტექსტებს წარმოადგენს ან ასეთებად აღიქმება.</u>

უნივერსიტეტში გერმანული ენის შესწავლის საფუძველზე თქვენ შეძლებთ იკითხოთ ამ ენაზე ნებისმიერი სახის ტექსტები – ლიტერატურული, პუბლიცისტური, მეცნიერული, დარგობრივი ტექსტები და რაც მთავარია, **გაიგოთ წაკითხული ტექსტი და შეძლოთ მისი ინტერპრეტაცია (ლიტერატურული, ლინგვისტური და ა.შ) და ამით შეიძინოთ ფილოლოგის უმთავრესი თვისება – ტექსტის ინტერპრეტაციის უნარი.**

არსებობს ლიტერატურული ტექსტის გაგებისადმი (Textverstehen) განსაკუთრებული დამოკიდებულება „Lust am Text“, რაც გულისხმობს ტექსტით გატაცებას, ლიტერტურული ტექსტის სიყვარულს, რომელიც ტექსტით ტკბობის სურვილს აღძრავს, როგორც ეს ფრანგმა ლიტერატურის თეორეტიკოსმა როლან ბარტმა უწოდა თავის დამოკიდებულებას ლიტერატურისადმი. ეს არის არა მხოლოდ ტექსტის გაგება, არამედ ტექსტის კითხვით გამოწვეული აღტაცება, რაც ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაციის მოტივაციას წარმოადგენს.

ჩვენ გთავაზობთ საგნების ჩამონათვალს გერმანულ ენასა და ლიტერატურაში, სავალდებულო და არჩევით კურსებს, რომელთაგანაც ხშირად კურსის წამყვანი ლექტორის პიროვნებამაც შესაძლოა გარკვეული როლი ითამაშოს პროფესიის არჩევანის გადაწყვეტილებაში. ე.ი. ამ გზითაც შეიძლება იმ გამოცდილების დაგროვება და კომპეტენციების შეძენა, რომლებიც შემდგომ პრაქტიკულ სარბიელზე გამოგადგებათ. მაგრამ არც დამწყებთათვის საბაკალავრო სწავლების საბაზისო საფეხურზე- პირველი ოთხი სემესტრი(Grundstudium) და მით უმეტეს არც უკვე ასე ვთქვათ წინ წაწეულთა საფეხურზე- შემდეგი ოთხი სემესტრი (Hauptstudium) მყოფი სტუდენტებისთვის არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული გერმანული ფილოლოგიის ან საერთოდ ფილოლოგიის **წარმოშობის წინაპირობები** და **თვით ამ დისციპლინისთვის** განვითარების **იმანენტური ანუ შინაგანად დამახასითებელი პროცესები.**

ისევე როგორც ნებისმიერი მეცნიერება გერმანული ფილოლოგიაც ეფუძნება გარკვეულ შეხედეულებებსა თუ მიღწევებს, თეორიებსა თუ პრობლემებს და ამავე დროს იგი მოწმობს მცდარ მოსაზრებებზეც, რომლებიც დროთა განმავლობაში უკუგდებულ იქნენ როგორც მარგინალური ანუ ფილოლოგის სფეროს მიჯნაზე მყოფი, მნიშვნელობას მოკლებული მოსაზრებები, რომლებმაც ასე ვთქვათ დროს ვერ გაუძლეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: გერმანული ფილოლოგია ან გერმანისტიკა არ იარსებებდა იმ სახით, როგორიც მას დღეს აქვს, რომ არ ყოფილიყო მისი ისტორია, რომელმაც მას სწორედ ამგვარი სახე მისცა, როგორიც მას დღეს აქვს. ასე რომ, **გერმანისტიკის პროფესიად არჩევის დროს ჩვენ ამავე დროს ფილოლოგის გარკვეულ პროფესიულ ტრადიციასაც ვირჩევთ.**

1. 1. ფილოლოგიის ცნება და მისი განვითარების ეტაპები.

ვინც გერმანული ფილოლოგიის მეცნიერული შესწავლა გადაწყვიტა, მისთვის საწყის ეტაპზეც უნდა ჰქონდეს ფილოლოგიის ისტორიას გარკვეული მნიშვნელობა.

სწორედ ამ მოსაზრებების საფუძველზე გადავიდეთ ჩვენი შესავალი კურსის პირველ მნიშვნელოვან ტერმინზე „ფილოლოგია“. სიტყვის პირველი ნაწილი ბერძნ. philos ნიშნავს „მოსიყვარულეს, მიმდევარს, მეგობარს და მეგობრულს“ lohos = სიტყვას, ცნებას, სულს/ინტელექტს, ცოდნას. ამრიგად მთლიანად სიტყვა ფილოლოგია **სიტყვისადმი,** ინტელექტისადმი, გარკვეული სისტემისადმი **სიყვარულს** (და ამავე დროს მეგობრობასაც) ნიშნავს.

სიტყვა ფილოლოგი კი მკვლევარს, მეცნიერს (Philologe - ფილოლოგი) აღნიშნავს (loge), მეცნიერული დარგის მნიშვნელობა მას აქვს შესაბამის აბსტრაქტულ სახელში: Philologie- sиlogie ნიშნავს მოძღვრებას, მეცნიერებას.

სხვადასხვა ეპოქებში ფილოლოგიის ცნების ქვეშ სხვადასხვა შინაარსი იგულისხმებოდა. ლათინურ ენაზე philologia უკვე მე-16 საუკუნეში ნიშნავდა „ენისა და ისტორიის მეცნიერულ კვლევას“.

მთლიანობაში როგორც ვხედავთ, სიტყვა ფილოლოგია სხვადასხვა კონოტაციების (**სეკუნდარული,** მეორადი ანუ სტილისტიკური მნიშვნელობების) წარმომქმნელია, რომლებიც წამყვანი ხდება სხვადასხვა კონტექსტში, მაგრამ ძირითადად იგი სიტყვისა და ცოდნის სიყვარულთან არის დაკავშირებული.

დღევანდელ დღეს, დუდენის თანამედროვე ცნობილ დიდ ლექსიკონში (გამოცემული 2000წ.) სიტყვა ფილოლოგია განმარტებულია როგორც მეცნიერება, **რომელიც მხოლოდ ერთი გარკვეული ენის ტექსტებს იკვლევს**.

(Philologie, die, -n / lat.philologia, / griech. philologia): Wissenschaft, die sich mit der Erforschung von Texten in einer bestimmten Sprache beschäftigt).

ისტორიულად ფილოლოგიის ცნება დიდი ხნის განმავლობაში გულისხმობდა დამწერლობის ძეგლების კვლევის მეთოდების ერთობლიობას. იგი სიტყვის ფართე გაგებით მოიცავდა კვლევის ობიექტისადმი ენობრივ – სტილისტიკურსა და ისტორიულ - ეთნიკურ მიდგომებს. დღეს ჩვენ ვიცით, რომ ფილოლოგია ენათმეცნიერების (ლინგვისტიკისა) და ლიტერატურატმცოდნეობის (ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურის თეორიის) ერთმანეთისგან გამიჯნული, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოდულებისგან შედგება. მაგრამ სანამ ჩვენ ფილოლოგიის ამ ურთიერთდაკავშირებულ ობიექტებზე ლაპარაკს შევუდგებით, საჭიროა მოკლე ხნით დავუბრუნდეთ ფილოლოგიის განვითარების ყველაზე ელემენტარულ საფეხურებს, რათა წარმოდგენა შეგვექმნას მისი განვითარების ძირითად ეტაპებზე.

მე-19 საუკუნის დამდეგამდე ფილოლოგია მოიცავდა კულტურის ყველა ძეგლის კვლევას ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ფარგლებში, რადგან მეცნიერებები არ იყო დიფერენცირებული.

ფილოლოგიის ელემენტები ადრეულ ეპოქებში ჩამოყალიბდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი სათავეს ანტიკურ ეპოქაში იღებს. ძველ საბერძნეთში სიტყვის „ფილოლოგი“ ქვეშ გრამატიკოსი იგულისხმებოდა. დიონისიოს თრაკიელი (Dionysios Thrax 2. Jh. V. Chr.) ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-2 საუკუნეში გრამატიკას წარმოადგენდა როგორც „ გამოცდილებაზე დამყარებული ცოდნა იმისა, რასაც უმეტესწილად პოეტები და პროზაიკოსები ამბობენ“ (იხ. წიგნში: Cherubim 1976: 123). დიონისიოს თრაკიელმა შეადგინა პირველი ბერძნული გრამატიკა, რომელშიც მან ენის შესახებ იმ ცოდნის აკუმულირება მოახდინა, საუკუნეების მანძილზე რომ იყო მასზე უწინ დაგროვილი. მისი *Techne Grammatike (გრამატიკის ხელოვნება*) გეზის მიმცემად იქცა ლათინური ენისა და ადრეული ევროპული ნაციონალური ენებისთვის. ან პირველმა გამოყო მეტყველების ნაწილები, რომლებსაც გარკვეულწილად ტრადიციულ კლასიფიკაციად დღესაც მიიჩნევენ.

დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის ხელოვნებაში (Techne Grammatik) მოცემული მეტყველების ნაწილები:

1. სახელი (Nomen), რომელსაც ბრუნვის ფლექსია (დაბოლოება) გააჩნია და სხეულებრივ საგანს - მაგ: ქვა) ან (უსხეულო) ცნებას (მაგ: აღზრდა) აღნიშნავს.
2. ზმნა – სიტყვა ბრუნვის ფლექსიის გარეშე, რომელიც უშვებს დროის (ტემპორალურ), პირის და რიცხვის კატეგორიების წარმოებას და ქმედებას ან შემთხვევითობაზე მიუთითებს.
3. პარტიციპი – მიმღეობა
4. არტიკლი (მიმართებით ნაცვალსახელებთან ერთად)
5. ნაცვალსახელი, როგორც სიტყვა, რომელიც სახელის ნაცვლად იხმარება და განსაზღვრულ პიროვნებებზე მიუთითებს.
6. წინდებული, როგორც სიტყვა, რომელიც ყველა მეტყველების ნაწილის წინ დაისმის და სახელდობრ კომპოზიტებსა და კომბინაციებში გამოიყენება.
7. ზმნიზედა (Adverb)
8. კავშირი

ძველი საბერძნეთის შემდგომ, ძველ რომში ტერმინები „ფილოლოგი“ და „გრამატიკოსი“ უკვე ერთმანეთს გაემიჯნა და დაუპირისპირდა კიდეც: ფილოლოგის კვლევის ამოცანას ლიტერატურული ფორმის შესწავლა წარმოადგენდა ანუ ლიტერატურული ტექსტის სტილისა და შინაარსის კვლევა, ხოლო გრამატიკოსი შეისწავლიდა ტექსტის გარეგან ანუ ენობრივ მხარეს: გრამატიკას, რიტორიკას, ლექსიკას, ორთოგრაფიას.

პლატონი (დაახლოებით 127-347 წლები ქრისტეს დაბადებამდე) – Plato (ca. 427-347 v. Chr.) თავის “კრატილოს” –ში, რომელიც დიალოგის ფორმაში იყო შექმნილი დისკუსიის საგნად აქცევს პრობლემას, იმის შესახებ, თუ რას ეფუძნება ენა - ტრადიციულ შეთანხმებას თუ სიტყვებსა და საგნებს შორის არსებულ რაიმე ობიექტურ კავშირს. სოკრატესა და ჰერმოგენეს შორის დავაში სოკრატეს აზრი

იმარჯვებს იმის შესახებ, რომ სიტყვები უშუალოდ არ ასახევენ საგნებს, არამედ ადამიანებს სორის მოლაპარაკების საფუძველზე საგნების შესახებ ცნებებს წარმოადგენენ, ანუ სიტყვა როგორც ენობრივი ნიშანი კონვენციონალურია და ერთი ენობრივი კოლექტივის შიგნით ერთგვაროვნად მოქმედებს და აღიქმება.

ქრისტესშობამდე ერთი საუკუნით ადრე რომაელებმა შეადგინეს გრამატიკისა და რიტორიკის სფეროებში მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, განსაკუთრებით ციცერონმა (Cicero) სტილის შესახებ (106- 43 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) და კვინტილიანმა (ჩვ. წელთაღრიცხვით I საუკუნე) ენის გამოყენებასა და რიტორიკის შესახებ (Crystal 1998: 405). იულიუს კეისარი კი ალპებში ლაშქრობებს შორისაც კი დროს ნახულობდა იმისთვის, რომ გრამატიკის წესები შეედგინა.
ამრიგად, უკვე ანტიკურ ხანაში ენაზე ფიქრი, თუ რა არის ენა, ანუ ენის აღქმა-რეფლექსია და ენაზე მსჯელობა ანუ ენის თემატიზება (ე.ი. ენაზე როგორც ობიექტზე საუბარი), მეტად კეთილშობილ საქმიანობად ითვლებოდა განათლებულ წრეებში. ეს ტრადიცია გარკვეულწილად გაგრძელდა შუა საუკუნეებშიც.

1.2. გერმანული ფილოლოგია ადრეულ შუა საუკუნეებსა და რეფორმაციის პერიოდში

ადრეულ შუა საუკუნეებში ფილოლოგია არსებობდა მხოლოდ ვიწრო გაგებით. იგი ყველგან სქოლასტიკურ ხასიათს ატარებდა. ეს რელიგიურ- სქოლასტიკური ხასიათი დამახასიათებელია როგორც ბიზანტიური, ასევე არაბული და ებრაული ფილოლოგიებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ამ დროს, შუა საუკუნოებრივ ღვთისმეტყველებაში განვითარდა ჰერმენევტიკა Hermeneutik - მოძღვრება რელიგიური ტექსტების განმარტების შესახებ, რომელიც შემდეგ შეიცვალა სიტყვით ეკზეგეტიკა (Exegetik), რაც ნიშნავს ბიბლიის განმარტების, ახსნის ხელოვნებას, ხოლო თვით ამხსნელს მაგ. ახალი აღთქმის წიგნებისა, Exegete – ეკზეგეტიკოსი ეწოდებოდა. სიტყვამ „ჰერმენევტიკა“ახალ პერიოდში ახალი ობიექტი და მნიშვნელობა შეიძინა.

ადრეულ შუა საუკუნეებში, როცა ევროპის მრავალ ქვეყანაში ლიტურგია (ღვთისმსახურება) ლათინურ ენაზე სრულდებოდა, რომელიც უბრალო ხალხის ცნობიერებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი, ამიტომ ლიტურგიკულ ანუ რელიგიურ ტექსტებს გვერდებზე დიდ მინდორს, ცარიელ ადგილს უტოვებდნენ და იქ ამოიწერდნენ ამოსავალ ცნებებს ლათინურ ენაზე და იქვე განმარტავდნენ კიდეც მათ მშობლიურ, უმეტესად ძველზემოგერმანულ ენაზე. ეს იყო ლათინური ტექსტის დედაენაზე თავისებური კომენტარი დაAასეთი კომენტარის შემსრულებელ პირს სქოლიასტი ეწოდებოდა.

მე-9 საუკუნეში შესრულებული უძველესი ტექსტიც „გლოსები“ (Die Glossen) წარმოადგენს სიტყვებისა და წინადადებების ნომენკლატურებს, ჩამონათვალს, სხვადასხვაგვარ შენიშვნებსა და თავისებიურ კომენტარებს ძველზემოგერმანულ ენაზე, რომლებიც თან ერთვოდა ლათინურ ენაზე შესრულებულ ტექსტებს.

პირველ ნაბიჯს, გადადგმულს სქოლასტიკურიდან ჰუმანისტური ფილოლოგიისაკენ საერთოდ ევროპაში დანტეს ტრაქტატი „ნადიმი“ წარმოადგენს, რომელიც, მართალია რელიგიურ-მისტიკური ხასიათის მატარებელი ტექსტია, მაგრამ მასში წინა პლანზე ადამიანის პრობლემა არის წამოწეული.
მე-15 საუკუნეში ანტიკური ძეგლებით დაინტერესებამ გააფართოვა ფილოლოგიის ცნება. ხოლო რენესანსისEშემდგომ, მე-16 და მე-17 საუკუნეებში ეს ინტერესი კიდევ უფრო ღრმავდება, რის შედეგადაც იქმნება მეცნიერული ფილოლოგიის ახალი ტიპი – კლასიკური ფილოლოგია, რომელიც შეისწავლის ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის კულტურის ძეგლებს- არა მხოლოდ ენას, ლიტერატურას და ისტორიას, არამედ მათ ფილოსოფიას რელიგიას, ეკონომიკას და იურისპრუდენციას.
სწორედ კლასიკური ფილოლოგიის ნიმუშის მიხედვით თანდათანობით ჩამოყალიბდა ე.წ.კერძო ფილოლოგიები: რომანული, გერმანული და სლავური, რომლებიც აერთიანებდნენ ინდოევროპულ ენათა ოჯახის ჯგუფებში შემავალ ქვეჯგუფებისა და ენების ფილოლოგიებს.

განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება ფილოლოგია საფრანგეთში, გერმანიასა და ნიდერლანდებში, უფრო მოგვიანებით კი ინგლისში.

უკვე მე-15 საუკუნის დამლევსა და მე-16 საუკუნის დამდეგს ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელიც უპირატესად ლათინურ ენაზე სწავლების წინააღმდეგ იყო მიმართული, ევროპის მრავალ ქვეყანაში განაპირობა მშობლიურ ენებზე გრამატიკის სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობა.

რეფორმაციის პერიოდში (მე-16 საუკუნე) იწყება გერმანიკული ენების შესწავლა ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების ისტორიისა და კულტურის შესწავლასთან ერთად.

იკვეთება სამი თემატური წრე გერმანული ენის კვლევასთან დაკავშირებით:

1. გერმანული ენის კვლევა თავის გრამატიკულ, ლექსიკურ და სტილისტიკურ გამოვლინებებსა და თვისებებში, განსაკუთრებით ლათინურთან დაპირისპირებაში.
2. გერმანული ენა როგორც თარგმანის სამიზნე ენა (Zielsprache – Lingua 2) აქაც ლათინურთან მიმართებაშია, რომელიც ძირითადად ორიგინალის ამოსავალ ენას (Ausgangssprache- Lingua 1) წარმოადგენდა.
3. გერმანული ენა მის დიალექტოგრაფიულ შიდა დანაწევრებაში ანუ დიფერენციაციაში.

(Gardt 199: 12.)

როგორც ცნობილია, რეფორმაციის განმსაზღვრელი ფიგურაა მარტინ ლუთერი (1483-1546), რომელმაც, მოახდინა კათოლიკური ეკლესიის რეფორმა და თარგმნა ბიბლია ლათინურიდან გერმანულად საქსონიის კანცელარიების ენაზე დაყრდნობით.

1517 წელს მარტინ ლუთერმა ვიტენბერგის სამეფო ეკლესიის კარზე გამოკიდა 95 თეზისი ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ, რაც არა მხოლოდ ეკლესიის რეფორმის, არამედ გერმანიის დამოუკიდებლობისთვისთვის ბრძოლის დასაწყისად

იქცა. მან დაწერა ცნობილი მიმართვა კაიზერისადმი, გერმანელი არისტოკრატიისადმი “An die deutsche Adel“ (1520 წელს) დაეხმარონ გერმანულ ეკლესიას პაპის ბატონობისგან განთავისუფლებაში., რომელიც ყოველგვარ რეფორმას „სამმაგი კედლით“ ეწინააღმდეგება.: „Gott gebe uns allen einen christlichen Verstand und besonders dem deutschen Adel deutscher Nation einen rechten geistlichen Mut, der armen Kirche das beste zu tun“ . სწორედ ენობრივად ამ მეტად ძლიერი ტექსტით დააფუძნა მან რეფორმისტული ხელწერის ახალი სტილი, ამ ტექსტით გახდა მისი სხვა ნაწერები მეტად პოპულარული გერმანელ ხალხში. შემგომში მან დაწვა პაპის ბულა მისი ეკლესიიდან განკვეთის შესახებ და რაიხსტაგზე წარმოთქვა სიტყვა სინდისის ავტონომიაზე ანუ რწმენის არჩევანის თავისუფლებაზე. ამავე დროს, ლუთერი თვლიდა, რომ კეთილი საქმეები მხოლოდ გამოვლინებაა ადამიანის კეთილი ნებისა და არა გზა ღვთისაკენ. იგი ითხოვდა **ღვთისა და ადამიანის ერთიანობის აღდგენას უპირველესად ადამიანის სულში**.Aამრიგად, რეფორმაცია მოითხოვდა ადამიანის რწმენის შინაგან თავისუფლებას.

ლუთერი შეეცადა კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტი ბიბლიის ავტორიტეტით შეეცვალა, რომელსაც იგი 15 წლის განმავლობაში თარგმნიდა. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ნაციონალური ენის ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც ფაქტიურად მე- 16 დან მე-19 საუკუნემდე გაგრძელდა.

სწორედ მე- 16 საუკუნიდან იწყება ევროპული ენების (იტალიური, ესპანური, ფრანგული, გერმანული და ა.შ.) როგორც კულტურული და შესაბამისად, როგორც მეცნიერული ენების ჩამოყალიბების პერიოდი.

ამ დროიდან მოყოლებული გერმანული ენის კვლევა უკავშირდება ამ ენის ისტორიის კვლევას. გერმანული ენის მეცნიერული კვლევის პირველი ცდები გარკვეული აზრით, ენის სიწმინდის პოზიციიდან, ნორმატიული ხასიათისა იყო და გერმანული ენის ასე ვთქვათ, გაუმჯობესება, დახვეწას ემსახურებოდა.